საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 28 იანვარი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01 / 05

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის მობილობის ვაკანტური ადგილების დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანების, ,,მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 23 იანვრის № 19 ბრძანების, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-4 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის ვაკანტური ადგილები, თანახმად დანართისა.

2. განაცხადი ვაკანტური ადგილების შესახებ გაეგზავნოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2013 წლის 28 იანვრის № 04-01/05 დადგენილების

დანართი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის მობილობის ვაკანტური ადგილები

№	ფაკულტეტი	ადგილების რაოდენობა	
		შიდა მობილობისთვის	გარე მობილობისთვის
	სახვითი, სასცენო და კინოტელე ხელოვნების (ბაკალავრიატი)		
1	არქიტექტურა	1	1
2	ტანსაცმლის დიზაინი	1	1
3	ინტერიერის დიზაინი	1	1
4	ტელერეჟისურა	1	1
5	დრამისა და კინოს სამსახიობო	1	2
	მუსიკის ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)		
1	ფორტეპიანო	1	2
2	აკადემიური სიმღერა	1	
3	კომპოზიცია	1	1
	მუსიკის ფაკულტეტი (მაგისტრატურა)		
1	ფორტეპიანო	1	1
2	ეთნომუსიკოლოგია	1	1
	განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (ბაკალავრიატი)		
1	ხელოვნებათმცოდნეობა	1	2

სწორია:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 28 იანვარი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 32

,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სხვა აკრედიტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 08 ნოემბრის № 25 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სხვა აკრედიტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2010 წლის 08 ნოემბრის № 25 დადგენილებას დაემატოს 2.2[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,2.2[1] შეფასების 10 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადასაყვანად გამოიყენება შემდეგი სქემა:

ფრიადი (9-10) - ქულა (A ფრიადი)
კარგი (6-7-8) - ქულა (B კარგი)
საშუალო (3-4-5) - ქულა (C საშულო)

,,ჩათვლა“ შეფასების ექვივალენტურ შეფასებად ჩაითვალოს სხვა საგნებში მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული, დამრგვალებული მთელ რიცხვამდე.“

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავჯდომარე **ე. მესხია**